დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მიერ

2025 წლის 18 ივლისის 01-06-02/34 დადგენილებით

# სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

# ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

# **2024** წლის ანგარიში

თბილისი

2025 წელი

საანგარიშო პერიოდში, როგორც სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ვსაქმიანობდი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი წესდებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული აქტების მოთხოვნათა დაცვით, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის, სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მისიისა და წლის განმავლობაში არსებული ფაქტობრივი ფინანსური მდგომარეობის შესაბამისად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) ანგარიში შედგენილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე და აღწერს 2024 წლის საქმიანობას.

საანგარირიშო პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები, კერძოდ:

1. კვლევასა და სწავლებაში ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების მიზნით სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებსა და საერთაშორისო თანამშრომლობის კვლევითი პროექტების ფარგლებში;
2. ინტერნაციონალური კოლაბორაციის დანერგვა და განვითარება უსდ-ებთან;
3. სასწავლო-კვლევითი პოტენციალის ამაღლებისათვის კლასტერებისა და კოლაბორაციულ - ინტერნაციონალური კვლევითი ცენტრების ჩამოყალიბება;
4. უნივერსიტეტის, როგორც სანდო და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციის იმიჯის განმტკიცება ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
5. უნივერსიტეტისთვის, ბაზრის ახალი სეგმენტის შექმნისა და ათვისების მიზნით, დამატებითი შემოსავლების მომტანი ეკონომიკური საქმიანობის (ინოვაციური პროექტების, საკონსულტაციო, საექსპერტო და საგანმანათლებლო მომსახურების) მასშტაბების ზრდა.

2024 წლის ანგარიში მოიცავს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, ასევე კანონით, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული, ან/და ნებადართული სტრუქტურული ერთეულების მიერ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანებისა და ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულ ფულად სახსრებს.

## საბიუჯეტო მაჩვენებლები

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტი დამტკიცდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 22 დეკემბრის N 01-06-02/70 დადგენილებით და ნაშთის გათვალისწინებით შეადგინა 60 055 120 ლარი. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით დაზუსტებული ნაერთი ბიუჯეტი 85 711 875 ლარით განისაზღვრა, ანუ დამტკიცებულზე 25 656 755 ლარით მეტი. გაზრდილი მაჩვენებლებიდან 14 883 076 ლარი საკუთარი სახსრებია, მათ შორის 9 837 000 ლარი უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებული წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალია, ხოლო 10 773 679 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მიზნობრივი გრანტებიდან მისაღები დაფინანსებაა.

## 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების ანალიზი

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები ფორმირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით, საერთაშორისო გრანტებისა და კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსულობებით (საკუთარი სახსრები) და გაწერილია გადასახდელების შვიდ პროგრამაში, რომელიც თავის მხრივ დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის ღონისძიებების მიხედვით და ჩაშლილია ქვეპროგრამებად. უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტი ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას.

2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებელი 85 711 875 ლარს შეადგენს, მათ შორის ნაშთი პერიოდის დასაწყისში 326 588 ლარია. დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლებიდან საკუთარი სახსრები ნაშთისა (134 703 ლარი) და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის (9 837 000 ლარი) გათვალისწინებით 73 201 751 ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები - 10 408 293 ლარს, ხოლო მიზნობრივი გრანტები ნაშთის (191 855ლარი) გათვალისწინებით-2 101 831 ლარს. შემოსულობებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სწავლის საფასურზე მოდის და შემოსულობების 54,1%-ს შეადგენს.

2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელი დაფინანსების ყველა წყაროს გათვალისწინებით 76 407 472 ლარს შეადგენს, კერძოდ:

| N | დასახელება | დაზუსტებული გეგმა | საკასო შესრულება | შესრულების % |
|---|---|---|---|---|
| | სულ შემოსავლები | **85 711 875** | **76 407 472** | 89,1 |
| | ნაშთი 01. 01.24-საკუთარი სახსრების ნაწილში | 134 703 | 134 703 | |
| | ნაშთი 01. 01.24-მიზნობრივი გრანტი | 191 885 | 191 885 | |
| **1** | **საკუთარი სახსრები** | **63 230 048** | **54 634 864** | **86,4** |
| 1.1. | მიმდინარე გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, cif და სხვა სახელმწიფო დონის ერთეულებიდან) და თვითმმართველი ერთეულებიდან | 4 030 285 | 3 488 234 | 86,6 |
| 1.2. | კაპიტალური დანიშნულების გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 4 081 877 | 2 929 171 | 71,8 |
| 1.3. | შემოსავალი პროცენტებიდან | 219 726 | 219 726 | 100,0 |
| 1.4. | შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან | 737 655 | 729 200 | 98,9 |
| 1.5. | სწავლის საფასური და სასწავლო გრანტი | 46 388 997 | 41 829 396 | 90,2 |
| 1.6. | შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან | 3 672 094 | 3 672 094 | 100,0 |
| 1.7. | შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან | 7 609 | 7 609 | 100,0 |
| 1.8. | სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 4 091 805 | 1 759 434 | 43,0 |
| **2** | არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავალი რეალიზაციიდან ) | 9 837 000 | 9 837 000 | 100,0 |
| **3** | **სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება** | **10 408 293** | **10 408 211** | **100** |
| 2.1. | სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები | 7 452 993 | 7 452 911 | 100,0 |
| 2.2. | სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს | 2 955 300 | 2 955 300 | 100,0 |
| **4** | **საერთაშორისო გრანტები** | **1 909 946** | **1 200 809** | **62,9** |

2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ, ნაშთისა და „არაფინანსური აქტივების კლებიდან“ მიღებული შემოსავლის ჩათვლით შეადგინა 76 407 472 ლარი, რაც გეგმის შესრულების 89,1 %-ია. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები შემოსულობების გეგმა შესრულებულია 100% -ით, საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტების გეგმა - 66,3 %-ით, რაც აიხსნება იმით, რომ წლის ბოლოს არ მოხდა გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი თანხების ჩამორიცხვა. საკუთარი სახსრების ნაწილში შესრულება 88,3%-ს შეადგენს. შესრულების დაბალი მაჩვენებელი განაპირობა დაგეგმილი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის, სსიპ -შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და სხვა სახელმწიფო ერთეულების გრანტებით განსაზღვრული აქტივობების გადავადებით, პროექტით გაუთვალისწინებელი ახალი გარემოებების წარმოშობის გამო.

2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ფინანსური მხარდაჭერისა (სუბსიდია) და პროექტის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური,

კვლევითი საქმიანობის და სტუდენტური პროექტების მხარდაჭერა“ ფარგლებში 75 964 250 ლარით განისაზღვრა, საკასო შესრულება 72 782 083 ლარს შეადგენს, რაც გეგმის შესრულების 95,8 %-ია, კერძოდ:

| N | დასახელება | 2024 წლის გეგმა | საკასო შესრულება | გადახრა | შესრულების % |
|---|---|---|---|---|---|
| **სულ გადასახდელები** | | **75 964 250** | **72 782 083** | **-3 182 167** | **95,8** |
| 1 | საკუთარი სახსრები სულ | 63 454 126 | 60 981 178 | **-2 472 948** | **96,1** |
| | მ.შ. „სუბსიდიები“ | 3 065 750 | 3 056 870 | **-8 880** | **99,7** |
| | მ.შ.„სხვა ხარჯები“ (ორდიპლომიანი პროგრამის დაფინანსება) | 23 625 | 23 625 | **0** | **100,0** |
| 2 | სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები დაფინანსება | 10 408 293 | 10 408 211 | **-82** | **100,0** |
| 3 | საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტები | 2 101 831 | 1 392 694 | **-709 137** | **66,3** |

ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებულ პროგრამებზე „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ და „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ მოდის და შეადგენს 100,0%-ს.

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ (პროგრამული კოდი 32 04 02 06) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 2 თებერვლის # 105472 ბრძანებით, 2024 წლის 17 აპრილის # 440273 და 2024 წლის 13 ნოემბრის # 1462659 ბრძანებებით, უნივერსიტეტის ბაკალავრიატის პროგრამებზე აქტიური სტატუსის მქონე 985 სტუდენტს სტიპენდიით უზრუნველსაყოფად გამოეყო 2 955 300 ლარი, შესრულებამ შეადგინა 100 %. უნდა აღინიშნოს სტიპენდიის ოდენობის ორჯერ ზრდა.

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ" (პროგრამული კოდი - 32 05 04 01) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 29 დეკემბრის N1784679 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 22 იანვრის # 50313 ბრძანებით, <u>უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებული 15</u> სამეცნიერო-

კვლევითი ინსტიტუტის დაფინანსება 7 464 391 ლარით განისაზღვრა. წლის განმავლობაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 2024 წლის 02 ივლისის # 792270 და 2024 წლის 10 დეკემბრის # 1595818 ბრძანებებით, ინსტიტუტების დაზუსტებულმა ბიუჯეტმა 7 452 993 ლარი შეადგინა. სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმიურ მაჩვენებლებს შორის ტენდერიდან წარმოქმნილი ეკონომიაა, შესრულებამ შეადგინა 7 452 911 ლარი, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია. აღსანიშნავია კვლევითი ინსტიტუტუტების, როგორც მეცნიერთა, ასევე დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების 10%-იანი ზრდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მიერ მოპოვებული იქნა, როგორც სსიპ- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები, ასევე საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტები, რომლის ფარგლებშიც სამეცნიერო პერსონალი მონაწილეობდა კონფერენციებსა და ფორუმებში. განხორციელებული კონკრეტული აქტივობების ჩამონათვალი ასეთ სურათს იძლევა:

| № | დასახელება | ჯამური რაოდენობა |
|---|---|---|
| **1** | **ეროვნული პატენტების რაოდენობა** | **3** |
| **2** | **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები** | **41** |
| **3** | **საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტები** | **9** |
| **4** | **სამეცნიერო ფორუმებში და კონფერენციებში მონაწილეთა რაოდენობა** | **255** |
| 4,1 | მ.შ. საქართველოში | 153 |
| 4,2 | მ.შ. უცხოეთში | 102 |
| **5** | **გამოქვეყნებული სტატიების, შრომების, თეზისების რაოდენობა** | **458** |
| 5,1 | მ.შ. საქართველოში | 249 |
| 5,1,1 | მ.შ.იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში | 11 |
| 5,2 | მ.შ. უცხოეთში | 209 |
| 5,2,1 | მ.შ.იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში | 150 |
| **6** | **გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები, კრებულები, მონოგრაფიები** | **39** |
| 6,1 | გამოქვეყნებული კრებულები (რეფერატული ჟურნალები) | 8 |
| 6,2 | გამოქვეყნებული მონოგრაფიები (ცნობარები) | 16 |
| 6,3 | გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები | 15 |
| **7** | **კვლევითი შედეგების დანერგვა** | **2** |
| **8** | **მონაცემთა ბაზების განახლება** | **10** |
| **9** | **საქართველოს მეცნიერებათა შრომების გამოქვეყნება საერთაშორისო სისტემებში/ ბაზებში** | **1621** |
| 9,1 | FAO AGRIS მონაცემთა ბაზებში შრომების გამოქვეყნება | 285 |
| 9,2 | ქართული ტერმინების გამოქვეყნება მრავალენოვან თაზაურუსში FAO AGROVOC | 1336 |
| 10. | **პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები** | **112** |

დაფინანსების წყაროების მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტებზე მოდის. გეგმა დაზუსტდა მოსალოდნელი ჩამოსარიცხი თანხებით და 2 101 831 ლარი შეადგინა, შესრულებამ -1 392 694 ლარი, რაც გეგმის შესრულების 66,3 %-ია. შედეგი აიხსნება იმით, რომ არ მოხდა გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი თანხის ჩამორიცხვა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩამორიცხული თანხა ნაშთის გათვალისწინებით (1 200 809 ლ +191 885 ლ), სრულად იქნა ათვისებული.

2024 წელს უნივერსიტეტში განხორციელდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული გრანტები, კერძოდ: ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ და DAAD საერთაშორისო მობილობის პროექტი კრედიტების დაგროვებით; კვლევების აღმასრულებელი სააგენტოს გრანტის HORIZON EUROPA პროექტი „საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ნეთვორკინგის და თვინინგის ინიციატივა“; პროექტი „კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისათვის საინჟინრო განათლებაში - ReINNOVA“; ERASMUS+ ის ფარგლებში პროექტი “პროფესიული განათლებისა და სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობა სამომხმარებლო მენტორინგისა და ტუტორინგის სისტემის მეშვეობით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში- PROMENT“, პროექტი „ისწავლე - გააუმჯობესე - გაყიდე - მიაღწიე წარმატებას“; პროექტი „ენერგოეფექტურობა საქართველოს აზერბაიჯანისა და უკრაინასთან ურთიერთსასარგებლო პარტნიორობისათვის“; აშშ-ს საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი (Advancing Gender Diversity in Engineering - „Women’s Tech Hub“) გენდერული მრავალფეროვნების განვითარება ინჟინერიაში - „ქალთა ტექ. ჰაბი“, აღნიშნული პროექტების მიზანს შეადგენს სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვა, ინოვაციური სწავლებისა და ინტერნაციონალიზმის ხელშეწყობა, მასწავლებელთა გადამზადება, სტუდენტების მობილობა ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც გაცვლითი პროექტების ფარგლებში განხორციელდა 55 სტუდენტის, 53 თანამშრომლის, მათ შორის, 33 აკადემიური და 20 ადმინისტრაციული პერსონალის სართაშორისო მობილობა კოორდინატორ უნივერსიტეტებში, კერძოდ, ჩეხეთის რესპუბლიკაში, თურქეთში, პოლონეთში, ლიხტენშტაინში, იტალიაში, ბულგარეთში, ესპანეთში, ლიეტუვაში, ავსტრიაში, რუმინეთში, უნგრეთში, პორტუგალიაში და საბერძნეთში;

ამავე პროექტის ფარგლებში, უნივერსიტეტს სწავლებისა და ტრენინგის მიზნით ესტუმრა 57 უცხოელი კოლეგა/პროფესორ-მასწავლებელი, პროექტის კოორდინატორი საფრანგეთის, ჩეხეთის რესპუბლიკის, თურქეთის, ესპანეთის, პოლონეთის, ავსტრიის, ლიეტუვის, გერმანიის, ბულგარეთის, იტალიის, პორტუგალიის, რუმინეთის უნივერსიტეტებიდან (12 ევროპული ქვეყანა);

Erasmus+ ფარგლებში უნივერსიტეტში განახორციელა ერთი დოქტორანტის მობილობა ჩეხეთის რესპუბლიკიდან (ოსტრავის ტექნიკური უნივერსიტეტი).

წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ჩაირიცხა 484 უცხოელი სტუდენტი.

საანგარიშო წლის განმავლობაში გაფორმდა 28 მემორანდუმი და ხელშეკრულება საერთაშორისო ინსტიტუციებთან, მათ შორისაა იტალია (3), რუმინეთი (1), მოლდოვა (1), საფრანგეთი (4), თურქეთი (4), პოლონეთი (2), უკრაინა (1), ალბანეთი (1), ავსტრია (1), ჰონგ-კონგი (1), ჩრდილოეთ მაკედონია (1), ესპანეთი (2), სერბეთი (1), კანადა (1), ბრაზილია (1), ისრაელი (1), ჩინეთი (1), უზბეკეთი (1).

## <u>ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება</u>

## <u>საკუთარი სახსრების ჭრილში</u>

2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში საკუთარი სახსრების გეგმიური მაჩვენებლები ნაშთის გათვალისწინებით განისაზღვრა 73 201 751 ლარით, რომლის ხვედრითი წილი მთლიანი შემოსავლების მიმართ 85,4%-ს შეადგენს. საკასო შესრულების მაჩვენებელმა 64 606 567 ლარი, ანუ 88,3%-ი შეადგინა. 2025 წლის 1 იანვრისთვის უნივერსიტეტის „ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების“ ნაშთი შეადგენს 6 501 556 ლარს, რომელიც გადატანილია ხაზინის ანგარიშიდან ს.ს. საქართველოს ბანკში გახსნილ საანაბრე ანგარიშზე.

საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსავლებში, ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სწავლის საფასურზე მოდის და გეგმიური მაჩვენებელი 46 388 997 ლარით განისაზღვრა, შესრულებამ შეადგინა 41 829 396 ლარი, აქედან სტუდენტის მიერ, ან სხვა კანონიერი წყაროებიდან საანგარიშო წელს გადახდილი სწავლის საფასური შეადგენს 24 423 960 ლარს, ხოლო სასწავლო გრანტის (ვაუჩერული დაფინანსება) სახით მიღებული შემოსავლები - 17 405 436 ლარს, მათ შორის პროფესიული სწავლების ვაუჩერული დაფინანსება შეადგენს 2 766 036 ლარს. ფაკულტეტების სამივე საფეხურიდან მიღებული შემოსავალი დაფინანსების ყველა წყაროს გათვალისწინებით შეადგენს 39 063 360 ლარს, კერძოდ:

| N | **ფაკულტეტის დასახელება** | შემოსავლების **გეგმა** | **საკასო** შესრულება | სხვაობა ამოსაღებ თანხასა და საკასო შესრულებას შორის | შესრულების % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამშენებლო | 3 927 226 | 3 405 766 | -521 460 | 87 |
| 2 | ენერგეტიკა | 3 338 765 | 2 731 284 | -607 481 | 82 |
| 3 | სამთო-გეოლოგიური | 2 119 364 | 1 775 509 | -343 855, | 84 |
| 4 | ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგია | 1 223 380 | 1 003 876 | -219 504 | 82 |
| 5 | სატრანსპორტო და მექანიკის ინჟინერია | 2 658 815 | 2 304 675 | -354 140 | 87 |
| 6 | არქიტექტურა, ურბანისტიკა და დიზაინი | 2 928 619 | 2 877 650 | -50 969 | 98 |
| 7 | ბიზნესტექნოლოგიები | 4 272 361 | 4 230 870 | -41 491 | 99 |
| 8 | ინფორმატიკა და მართვის სისტემები | 9 466 254 | 8 076 514 | -1 389 740 | 85 |
| 9 | დიზაინის საერთაშორისო სკოლა | 1 047 499 | 913 765 | -133 734 | 87 |
| 10 | აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი | 4 642 234 | 4 101 854 | -540 380 | 88 |
| 11 | საინჟინრო ეკონომიკა, მედიატექნოლოგიები და სოციალური მეცნიერებები | 3 394 281 | 3 006 674 | -387 607 | 89 |
| 12 | სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები | 4 763 562 | 4 015 703 | -747 859 | 84 |
| 13 | მთის მდგრადი განვითარება | 718 875 | 619 220 | -99 655 | 86 |
| | სულ | **44 501 235** | **39 063 360** | **-5 437 875** | 88 |

აღნიშნული მონაცემების მიხედვით სწავლის საფასურის ამოღების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 88%-ია. შესრულების ასეთი შედეგი სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობაში მდგომარეობს. 2025 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სტატუსშეჩერებული და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების დავალიანება 7 463 534 ლარს შეადგენს, მათ შორის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების დავალიანება - 3 223 843 ლარს, კერძოდ:

| N | დასახელება | აქტიური სტუდენტების დავალიანება 01.01. 2025 წლის მდგომარეობით |
|---|---|---|
| 1 | სამშენებლო | 184 565 |
| 2 | ენერგეტიკა | 186 835 |
| 3 | სამთო-გეოლოგიური | 160 807 |
| 4 | ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგია | 114 393 |
| 5 | სატრანსპორტო და მექანიკის ინჟინერია | 262 298 |
| 6 | არქიტექტურა, ურბანისტიკა და დიზაინი | 122 439 |
| 7 | ბიზნესტექნოლოგიები | 388 815 |
| 8 | ინფორმატიკა და მართვის სისტემები | 815 245 |
| 9 | დიზაინის საერთაშორისო სკოლა | 64 576 |
| 10 | აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი | 85 442 |
| 11 | საინჟინრო ეკონომიკა, მედიატექნოლოგიები და სოციალური მეცნირებები | 293 760 |
| 12 | სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები | 477 110 |
| 13 | მთის მდგრადი განვითარება | 67 558 |
| | სულ ფაკულტეტები | 3 223 843 |

2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა საკუთარი სახსრების ჭრილში 63 454 126 ლარით განისაზღვრა, რომელიც მოიცავს ფინანსური მხარდაჭერისა (3 000 000 ლარი) და პროექტის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური, კვლევითი საქმიანობის და სტუდენტური პროექტების მხარდაჭერა“ (65 750 ლარი) ფარგლებში გამოყოფილ 3 065 750 ლარის „სუბსიდია“-ს და ასევე, ორდიპლომიანი პროგრამის დაფინანსების ფარგლებში „ სხვა ხარჯების“ სახით გამოყოფილ 23 625 ლარს. გადასახდელები გაწერილია პროგრამების მიხედვით და სულ ასიგნებების საკასო შესრულების მაჩვენებლები შეადგენს 60 981 178 ლარს, კერძოდ:

| პროგრამული კოდი | დასახელება | გეგმა | საკასო შესრულება | სხვაობა | შესრულების % |
|---|---|---|---|---|---|
| **01 00** | **სულ ასიგნებები** | **63 454 126** | **60 981 178** | -2 472 948 | 96,1 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **01 01** | **უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება** | **15 552 636** | **15 551 137** | -1 499 | 100,0 |
| **01 02** | **უმაღლესი განათლება(ფაკულტეტები)** | **29 030 115** | **28 959 103** | -71 012 | 99,8 |
| **01 03** | **სტუდენტთა ხელშეწყობა** | **536 322** | **527 441** | -8 881 | 98,3 |
| **01 04** | **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა** | **9 292 821** | **7 970 044** | -1 322 777 | 85,8 |
| | მ.შ..სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს სამეცნიერო ფონდისა და სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები | 4 981 205 | 3 815 404 | -1 165 801 | 76,6 |
| **01 05** | **პროფესიული განათლების განვითარება** | **2 186 357** | **1 592 507** | -593 850 | 72,8 |
| **01 06** | **კულტურისა და სპორტის ხელშეწყობა** | **588 315** | **588 315** | 0 | 100,0 |
| **01 07** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **6 267 560** | **5 792 632** | -474 928 | 92,4 |

**1.პროგრამის „უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 01 01)** დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 552 636 ლარით, შესრულებამ შეადგინა 15 551 137 ლარი, რაც გეგმის შესრულების თითქმის 100 %-ია.

პროგრამა მოიცავს სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საქმიანობას, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის, მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსურ რესურს. ამ პროცესის სრულყოფილად წარმართვა მოიცავს დამხმარე პერსონალის ანაზღაურებას, საქონლისა და მომსახურების შესყიდვას, კომუნალური და საგადასახდო ვალდებულებების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას.

უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას უკავია, რაშიც დიდ მხარდაჭერას გვიცხადებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და ამ მიმართულებით „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი: 32 04 02 08) ფარგლებში უნივერსიტეტს გამოეყო 174 130 ლარი. აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებულ საბაკალავრო STEM პროგრამების საერთაშორისო ABET აკრედიტაციის მოსაპოვებლად დიდ ძალისხმევას დებს უნივერსიტეტი, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიმართულებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საკასო შესრულებამ 165 714 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი 5 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან ერთს „ბიოსამედიცინო ინჟინერია Biomedical

Engineering” ABET ორგანიზაციის მიერ მიენიჭა აკრედიტაცია. დანარჩენი პროგრამების აკრედიტაციისათვის პროექტი გაგარძელდა 2025 წელსაც.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას და განვითარებას, რომლის დაფინანსების ერთ-ერთი წყარო სამეცნიერო გრანტებია. განათლების, მეცნიერებისა და ახლაგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და უნივერსიტეტის ჩართულობით შეიქმნა საგრანტო ოფისი, რომელთა დახმარებით უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდა სამეცნიერო გრანტების მოზიდვა და ჩვენი აკადემიური პერსონალის ჩართვა სამეცნიერო კვლევებში. აღნიშნულის მიზნით „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის „საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო ოფისების მხარდაჭერის“ ფარგლებში, ყოველწლიურად უნივერსიტეტს გამოეყოფა 15 000 ლარი.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს თანამშრომელთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას და ამ მიზნით ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა კორპორაციული დაზღვევის ხარჯები, რომლის შესრულების წლიური მაჩვენებელი 1 248 770 ლარს შეადგენს.

**2. პროგრამის „უმაღლესი განათლება“ (ფაკულტეტები-პროგრამული კოდი 01 02)** დაზუსტებული გეგმა 29 030 115 ლარით განისაზღვრა, შესრულებამ შეადგინა 28 959 103 ლარი, რაც გეგმის შესრულების 99,8%-ია. პროგრამის განმახორციელებელია 13 ფაკულტეტი, რომელიც მოიცავს სწავლების სამ საფეხურს. პროგრამა ითვალიწინებს ასევე, სან-დიეგოს და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ორდიპლომიანი პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია" დაფინანსების თანხებს. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსებით, რომლითაც ფინანსდება ფაკულტეტებზე დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, მივლინება, წარმომადგენლობითი ხარჯები, კონფერენციების, სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის, სასწავლო მიზნით საჭირო საგნებისა და მასალების ხარჯები, წიგნადი ფონდის შევსების და საგნობრივი პროგრამების აკრედიტაციის, რეაკრედიტაციის და ანგარიში/მონიტორინგის გადასახდელები. პროგრამის მიზანია მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის გზით უზრუნველყოს სტუდენტების კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბება და მათი ჩართულობის გაზრდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

პროგრამის შესრულებამ შეადგინა 28 959 103 ლარი, რაც ცალკეული ფაკულტეტის მიხედვით შეადგენს:

| № | ფაკულტეტები | გადასახდელების წლიური გეგმა | საკასო შესრულება | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამშენებლო | 2 777 445 | 2 771 620 | -5 825 | 99,8 |
| 2 | ენერგეტიკა | 1 889 015 | 1 884 887 | -4 128 | 99,8 |
| 3 | სამთო-გეოლოგიური | 2 032 700 | 2 029 083 | -3 617 | 99,8 |
| 4 | ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია | 2 148 175 | 2 144 091 | -4 084 | 99,8 |
| 5 | სატრანსპორტო და მექანიკის ინჟინერია | 2 054 515 | 2 053 443 | -1 072 | 99,9 |
| 6 | არქიტექტურა და დიზაინი | 1 682 210 | 1 671 321 | -10 889 | 99,4 |
| 7 | ბიზნესტექნოლოგიები | 2 116 600 | 2 115 626 | -974 | 100,0 |
| 8 | ინფორმატიკა და მართვის სისტემები | 6 057 950 | 6 045 480 | -12 470 | 99,8 |
| 9 | დიზაინის საერთაშორისო სკოლა | 603 540 | 601 977 | -1 563 | 99,7 |
| 10 | აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი | 2 014 850 | 2 004 747 | -10 103 | 99,5 |
| 11 | საინჟინრო ეკონომიკა და მედიატექნოლოგიები | 2 954 310 | 2 941 308 | -13 002 | 99,6 |
| 12 | სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები | 2 424 000 | 2 420 786 | -3 214 | 99,9 |
| 13 | მთის მდგრადი განვითარება | 219 915 | 219 845 | -70 | 100,0 |
| | სულ | 28 975 225 | 28 904 214 | -71 011 | 99,8 |
| | სან-დიეგო | 31 265 | 31 264 | -1 | 100,0 |
| | ორდიპლომიანი პროგრამის დაფინანსება | 23 625 | 23 625 | 0 | 100,0 |
| | სულ | 29 030 115 | 28 959 103 | -71 012 | 99,8 |

ვალდებულებები, რომელიც ფაკულტეტების მიხედვით იყო გაწერილი, „სუბსიდიის“ თანხების გათვალსწინებით, შესრულებულია თითქმის 100 %-ით. როგორც შტატით, ასევე შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, რომელთა საკასო მაჩვენებელი 27 401 783 ლარია, გაცემულია სრულად და დროულად. ასევე, შეძენილ იქნა 182 500 ლარის ქიმიური რეაქტივები და სასწავლო მიზნით საჭირო საგნები და მასალები. გაიმართა ბევრი საინტერესო დისკუსია, ღია კარის დღეები, კონფერენციები, რაზეც გაწეული ხარჯი 147 622 ლარს შეადგენს. ამასთან, დიდი ყურადღება ეთმობა საგნობრივი პროგრამების აკრედიტაციის, რეაკრედიტაციის და ანგარიში/მონიტორინგის პროცესს, რისთვისაც გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 163 299 ლარი, კერძოდ:

| № | ფაკულტეტების დასახელება | აკრედიტაცია/რეაკრედიტაცია | ანგარიში/მონიტორინგი | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ენერგეტიკა | 13 305 | 0 | 13 305 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია | 0 | 3 254 | 3 254 |
| 3 | სატრანსპორტო და მექანიკის ინჟინერია | 0 | 7 651 | 7 651 |
| 4 | ბიზნესტექნოლოგიები | 79 296 | 4 654 | 83 950 |
| 5 | ინფორმატიკა და მართვის სისტემები | 24 375 | 1 827 | 26 202 |
| 6 | დიზაინის საერთაშორისო სკოლა | 0 | 1 627 | 1 627 |
| 7 | აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი | 0 | 9 187 | 9 187 |
| 8 | საინჟინრო ეკონომიკა და მედიატექნოლოგიები | 14 669 | 3 454 | 18 123 |
| | სულ | 131 645 | 31 654 | 163 299 |

საგნობრივი პროგრამების აკრედიტაციის, რეაკრედიტაციის და ანგარიში/მონიტორინგის პროცესი მოიცავს, როგორც პროგრამის მდგრადობის, ასევე ფინანსური მხარდაჭერის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საბიბლიოთეკო ფონდის განახლების მონიტორინგს, რასაც უნივერსიტეტმა წარმატებით გაართვა თავი და 2024 წელს აკრედიტაცია გაიარა 20 პროგრამამ, აქედან 5 დოქტორანტურის პროგრამაა, 8 - მაგისტრატურის, ხოლო 7- ბაკალავრიატის. რეკომენდაციების შესრულების ანგარიში გაიარა 14 პროგრამამ, ხოლო აკრედიტაციის პირობების შემოწმება-2 პროგრამამ.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამის „ვისწავლოთ საქართველოში" ქვეპროგრამით „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“ დაფინანსების ფარგლებში, 2021 წლიდან უნივერსიტეტი ანხორციელებს საფრანგეთის რენე-1 უნივერსიტეტთან ერთობლივ ორდიპლომიან საგანმანათლებლო პროგრამას „სასურსათო ტექნოლოგია". 2023-2024 წლის პირველ სემესტრში ჩარიცხული 13, ხოლო მეორე სემესტრში - 8 სტუდენტის სწავლის საფასურით უზრუნველყოფა განხორციელდა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში და შეადგინა 23 625 ლარი.

პროგრამის „უმაღლესი განათლება“ ფარგლებში, როგორც აღვნიშნეთ, ხორციელდება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ამავე უნივერსიტეტის კვლევით ფონდსა და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პროექტში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებას. საანგარიშო პერიოდისათვის ამ მაჩვენებელმა 31 264 ლარი შეადგინა.

**3. პროგრამის „სტუდენტთა ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 03)** დაზუსტებული გეგმა საკუთარი სახსრების ნაწილში 536 322 ლარით განისაზღვრა, ხოლო საკასო შესრულებამ 527 441 ლარი შეადგინა, რაც გეგმის შესრულების 98,3%-ია.

სტუდენტთა ხელშეწყობა გამოიხატება წარჩინებული სტუდენტებისათვის სახელმწიფო, თუ საფაკულტეტო სტიპენდიებით უზრუნველყოფაში, სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული შეღავათების დაწესებაში, სტუდენტური პროექტების, კულტურულ-სპორტული ღონისძიებების დაფინანსებასა და ნიჭიერი ახალგაზრდების კონფერენციებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერაში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

3.1 ქვეპროგრამა „სტუდენტური სტიპენდიები“ (კოდი 01 03 01) მოიცავს, როგორც სახელმწიფო, ასევე, სხვა სახელობისა და სახელმწიფო სასწავლო სტიპენდიებს. 2024 წლის გეგმა საკუთარი სახსრების ნაწილში შეადგენს 59 250 ლარს, შესრულება 100 %.-ია. სხვა სახელობისა და სახელმწიფო სასწავლო სტიპენდიები მოიცავს ფაკულტეტის მიერ გასაცემ სახელობით სტიპენდიებს, „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ მიერ გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიების ხელშეწყობის მიზნით დაწესებულ „მწვანე სტიპენდიას, ს.ს. საქართველოს ბანკის მიერ დაწესებულ სტიპენდიას და პროგრამის „სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისების“ ფარგლებში იორდანელი სტუდენტის სტიპენდიას. აღსანიშნავია, რომ კომპანია RMG აგრძელებს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების 22 სტუდენტის სტიპენდიით დაფინანსებას.

3.2 ქვეპროგრამის „კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო ღონისძიებები“ (კოდი 01 03 02) დაფინანსება განისაზღვრა 365 642 ლარით, შესრულებამ შეადგინა 100 %-ი. თანხები მიმართულ იქნა სხვადასხვა სპორტულ, კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებებზე, სადაც წარმატებით ასპარეზობენ უნივერსიტეტის სტუდენტური შემოქმედებითი და სპორტული გუნდები, როგორც მსოფლიო, ისე ეროვნულ უნივერსიადებში. ქვეპროგრამა ითვალისწინებს აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეთა ხელშეწყობას. აღსანიშნავია ქართული ცეკვის ანსამბლის „მერანი“ მონაწილეობა ბულგარეთში ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ანსამბლმა უმაღლესი ჯილდო „გრან-პრი“ მოიპოვა; თეატრ-სტუდიის „მოდი ნახე“ მონაწილეობა თურქეთის ქ. ავსალაში გამართულ სტუდენტური თეატრების მსოფლიო ფესტივალზე, სადაც თეატრი მეორე "გრან-პრის" მფლობელი გახდა. წლის განმავლობაში სტუდენტებისათვის თეატრის მიერ პერმანენტულად იმართებოდა სხვადასხვა სპექტაკლების ჩვენება. საანგარიშო წელს თაეტრის მიერ მოეწყო

ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლის პრემიერის „უკანასკნელი თოლია" ჩვენება, რომელმაც სრული ანშლაგით და წარმატებით ჩაიარა.

საანგარიშო პერიოდში სახალხო კაპელის, შემოქმედებითი გაერთიანება "Music Art House"-ისა და ფოლკლორული ანსამბლის „ფესვები“ -ს მიერ გაიმართა შემაჯამებელი კონცერტები, ასევე, ჩატარდა სახალხო კაპელის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტების ციკლი „ტრადიციები გრძელდება".

სტუ-ს 102 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის, ჰეგელის საერთაშორისო კონფერენციის, CERN-ისა და სხვადასხვა სამთავრობო დელეგაციების ვიზიტებს ღირსეულად მასპინძლობს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითშემოქმედების ჯგუფები.

უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებში, ასევე, მონაწილეობდა ეროვნული ფედერაციების მიერ მოწყობილ ჩემპიონატებზე, კერძოდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფრენბურთელთა გუნდს, საქართველოს ფრენბურთის ეროვნულმა ფედერაციამ უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში (მამაკაცები) მონაწილეობისათვის საბაზისო დაფინანსების სახით ჩაურიცხა 30 000 ლარი, ამავე ლიგის ჩემპიონატში პირველი ადგილის დაკავებისათვის საპრიზო ფონდის სახით - 10 000 ლარი, ასევე ქვიშის ფრენბურთში პირველ, მეორე და მესამე საპრიზო ადგილის დაკავებისათვის -4 000 ლარი, ხოლო თოვლის ფრენბურთის ჩემპიონატში მეორე ადგილის დაკავებისთვის - 1 000 ლარი. აღნიშნული თანხები ფულადი ჯილდოს სახით

გადაეცა სპორტული გუნდის წევრებს.

ტრადიციულად, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, გაიმართა პირველ კურსელებთან და სტუდენტებთან დახვედრის საზეიმო ცერემონიალი ღია ცის ქვეშ უნივერსიტეტის მუსიკალური ბენდის მონაწილეობით.

3. ქვეპროგრამა „სტუდენტური პროექტები“ განისაზღვრა 111 492 ლარით, შესრულებამ შეადგინა 102 550 ლარი, რაც გეგმის შესრულების 92 %-ია. ქვეპროგრამა მოიცავს სტუდენტური პროექტებისა და კონკურსების დაფინანსებას. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 29 დეკემბრის N1784521 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 06 ივნისის N631392 ბრძანებით, სტუდენტური პროექტების მხარდაჭერის ფარგლებში უნივერსიტეტს გამოეყო 90 000 ლარის „სუბსიდია“, ხოლო შემდეგ დაზუსტდა 65 750 ლარით. ასევე, საქართველოს განათლების,

მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 12 თებერვლის # 140292 ბრძანებით ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კვირეულის ლოგოს შექმნასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტს გამოეყო 2 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში, ჩვენი სტუდენტები მონაწილეობდნენ უზბეკეთში გამართულ გლობალურ ახალგაზრდულ ფესტივალზე და სამეცნიერო კონფერენციაზე ბულგარეთში. მოეწყო სტუდენტთა 88-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სტუდენტური ნამუშევრების გამოფენა, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ორგანიზებით მოეწყო ღონისძიება „რობოტების ბრძოლა“.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების ცენტრი „ერთად“, რომელთა მიერ განხორციელდა საიტის - „სტუდენტური საპატენტო ბიურო - მომავლის პროექტები“ ტესტირება https://mp.gtu.ge/ge , რომელიც ხელს შეუწყობს იდეების, ინოვაციური პროექტების მოძიებას, გამოგონებების, წინასწარმეტყველური და მეცნიერული ფანტასტიკური პროექტების განხორციელებას, რამაც განაპირობა ამავე სახელწოდების საპატენტო ბიუროს შექმნა.

**საანგარიშო პერიოდში შესრულებული იქნა შემდეგი სტუდენტური პროექტები:**

1. ბილინგვური სწავლების მოდელირება არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის საფუძველზე;

2.სამყარო, მეცნიერება, რელიგია, საეკლესიო პროცესები ისტორიულ საქართველოში;

3.მდინარე მტკვრის აუზის მიკროშენაკადების ლოჭინისა და ორხევის ზედაპირული წყლების ჰიდროქიმიურ მაჩვენებელთა კორელაციური სტატისტიკური ანალიზი;

4.ეკონომიკური სივრცის დაგეგმარება მომსახურების სფეროს ობიექტების პოტენციალისა და რისკების გათალისწინებით;

5.ურბანულ გარემოში სოციალური მომსახურების ობიექტის დაპროექტება.

სტუდენტური პროექტის შედეგები საფუძვლად დაედო სამეცნიერო სტატიებს და აისახა მონოგრაფიაში.

პროგრამის ფარგლებში დიდი გამოწვევა იყო ტურიზმის მსოფლიო დღეს საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციის - „მშვიდობა და მთის მდგრადი ტურიზმი - გამოწვევები და შესაძლებლობები“ მოწყობა, რომელიც სამი დღის განმავლობაში, 3 სექციად, ჰიბრიდულ ფორმატში წარიმართა. კონფერენციაში მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ტურიზმის ორგანიზაცია, მთის პარტნიორობის, ასევე, საქართველოს სახელმწიფო უწყებების, კერძო ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. საერთაშორისო

სტუდენტური კონფერენციის თემატიკა მრავალმხრივ ინტერესებს ეხმიანება და მასში მონაწილეობა ახალგაზრდებს შორის ახალი სამეცნიერო კვლევითი კონტაქტების დამყარებას, იდეების, გეგმების გაზიარებას შეუწყობს ხელს. ასევე, გვეძლევა შესაძლებლობა ჩავერთოთ გაეროს მდგრადი ტურიზმის ობსერვატორიების საერთაშორისო ქსელში და შევიმუშავოთ მდგრადი ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სერტიფიცირებული იქნება გაეროს ტურიზმის ორგანიზაციის აკადემიის, UN Tourism.TedQual-ის მიერ. ასევე, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი, 2024 წლის 12 მარტიდან, ოფიციალურად გახდა მთის პარტნიორობის (MOUNTAIN PARTNERSHIP, FAO) წევრი.

**4. პროგრამის „მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 04)** დაზუსტებული გეგმა საკუთარი სახსრების ნაწილში შეადგენს 9 292 821 ლარს, ხოლო შესრულებამ შეადგინა 7 970 044 ლარი, რაც გეგმის შესრულების 85,8 %-ია.

პროგრამის განმახორციელებელია სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, უნივერსიტეტის სამეცნიერო და საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრები. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს ქვეპროგრამებს: „გრანტები“ (01 04 01); „სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები“ (01 04 02); „დამხმარე სამეცნიერო ერთეულები“(01 04 03); „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობა“ (01 04 04) და „დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“(01 04 05).

2024 წელს სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი-საქართველო I2Q(IBRD)'' პროექტების (CIF) და სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტების შესრულებამ შეადგინა 3 815 044 ლარი, აქედან კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) -ის ფარგლებში განხორციელდა 5 საგრანტო პროექტი, ხოლო სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 51 გრანტი, კერძოდ:

| N | დასახელება | რაოდენობა | თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | ფუნდამენტური გრანტები (FR) | 28 | 1 956 174 |
| 2 | გამოყენებითი გრანტები (AR) | 11 | 1 200 000 |
| 3 | მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური მიმართულების (STEM) გრანტები | 4 | 143 890 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 | ახლგაზრდა მეცნიერთა გრანტები (YS) | 2 | 21 760 |
| 5 | საკონფერენციო გრანტები | 1 | 45 000 |
| 6 | საგამომცემლო გრანტები (SP) | 5 | 29 220 |
| | **სულ** | 51 | **3 396 044** |

2024 წელს კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) -ის ფარგლებში განხორციელდა 5 საგრანტო პროექტი.

პროგრამის განმახორციელებელია დოქტორანტთა და მაგისტრანტთა ინტერდისციპლინური საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი კლასტერი, რომელიც ანხორცილებს პროექტს „სახელმწიფო, სამართალი, კულტურა“.

პროგრამის განმახორციელებელია ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი 15 კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც განხილულ იქნა შემოსავლებისა და გადასახდელების ზოგად მიმოხილვაში.

საანგარიშო წელს, პროგრამის ფარგლებში, მოეწყო მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმები და კონფერენციები. საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში პირველად გაიმართა „ჰეგელის 35-ე მსოფლიო კონგრესის - სიკეთის იდეა და ზნეობრიობა ჰეგელის ფილოსოფიაში'' კონგრესი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „სინათლისა და მატერიის შეკავშირების ფიზიკა ნანოსტრუქტურებში - PLMCN-2024“, რომლის მიზანი საერთაშორისო საზოგადოებისთვის ახალი ხედვებისა და იდეების გაზიარება, ასევე, მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა და სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მკვლევართა და სტუდენტთა შორის კოლაბორაციის გაღრმავებაა. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა 132 უცხოელი და 15 ქართველი მკვლევარი, ხოლო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში - მსოფლიოს 15 ქვეყნის ცნობილი მეცნიერი და ახალგაზრდა მკვლევარი. აღნიშნული ღონისძიებები მოეწყო, როგორც საკუთარი სახსრების, ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში და შეადგინა 168 698 ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს „საერთაშორისო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობა“ პროექტი ,,ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი ევროპა“ ეროვნული საკონტაქტო პირების ქსელის განვითარების მხარდაჭერა და „საქართველოს მონაწილეობის ხელშეწყობა“. აგრეთვე, იტალიის საგარეო

საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა იტალიური ენის პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგ-კურსები.

საანგარიშო წელს უნივერსიტეტმა უმასპინძლა CERN-ის დაარსებიდან 70 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებას; ხელი მოეწერა იაპონიის მაღალი ენერგიების ამაჩქარებლების ორგანიზაციასთან (KEK) ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ბირთვული კვლევების ორგანიზაციაში (CERN) არსებული „CMS ექსპერიმენტის გრანულარული კალორიმეტრის პროექტში (HGCal) ძირითადი შენატანის შესახებ" ხელშეკრულებით ყოველწლიურად ხორციელდება შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებები, რაც ხელს უწყობს ექსპერიმენტებში ჩვენი მკვლევარების უშუალო ჩართულობას.

**5. პროგრამის „პროფესიული განათლება“ (პროგრამული კოდი 01 05)** ფარგლებში უნივერსიტეტი ანხორციელებს 27 პროგრამას, რომლის განმახორციელებელია ტრანსპორტისა და მექნიკის ინჟინერიის, სამთო-გეოლოგიური, ინფორმატიკის და მართვის სისტემების, ენერგეტიკის ფაკულტეტები, ტყიბულის და დიდი ჯიხაიშის პროფესიული სასწავლებელი. ასევე, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ქვეპროგრამის „ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა“ მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროექტები „ამფეთქებელი“; „ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი“ და ქ.თბილისის მერიის პროგრამა „პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯი შეადგენს 1 592 507 ლარს.

**6. პროგრამა „კულტურისა დ სპორტის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 01 06)** დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 588 315 ლარით, შესრულება შეადგენს 100%-ს.

პროგრამა ითვალისწინებს რაგბის, ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის, ფუტსალის, მაგიდის ჩოგბურთის და სხვადასხვა სპორტული გუნდების ხელშეწყობას. ასევე, თეატრის „მოდი ნახე“, ვაჟთა კაპელას, ქალთა გუნდის, ქორეოგრაფიული ანსამბლის „მერანი“, ჯაზ-ორკესტრის და სხვა ჯგუფების ხელშეწყობას, რაც გულისხმობს აღნიშნულ გუნდებისა და ჯგუფების ხელმძღვანელებისა და წევრების შრომის ანაზღაურებას.

**7. პროგრამის „ინფრასტრუქტურის განვითარება“(პროგრამული კოდი 01 07)** გეგმა განისაზღვრა 6 267 560 ლარით, შესრულებამ შეადგინა 5 792 632 ლარი, რაც გეგმის შესრულების 92,4 %-ია. პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას, კერძოდ:

7.1 ქვეპროგრამა „შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია“ მოიცავს მე-6 სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციას, დიდი ჯიხაიშის კოლეჯის საპროექტო მომსახურებას, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე „სასურსათო პროდუქტების გადამუშავების“ და „მეღვინეობის“ სასწავლო-საწარმოო ლაბორატორიის მშენებლობას, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე რემონტს, რომლისთვისაც გამოყოფილი გეგმიური მაჩვენებელი 4 532 625 ლარით განისაზღვრა, შესრულებამ 4 057 700 ლარი შეადგინა, რაც გეგმის შესრულების 89, 5 %-ია, მათ შორის სსიპ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი სახსრებით განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების საკასო მაჩვენებელი 2 955 149 ლარია, კერძოდ:

ქვეროპგრამის ფარგლებში სსიპ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და უნივერსიტეტს შორის 2022 წლის 03 ივნისის # 320704-01, 2022 წლის 05 სექტემბრის #320704-04 და 2023 წლის 26 ივნისის # 320704-03 ხელშეკრულებებით უნივერსიტეტს მე-6 სასწავლო კორპუსის ნულოვანი ციკლის (საძირკვლების) კონსტრუქციული გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოყოფილი სახსრებიდან (4 068 557 ლარი), 2024 წლის გეგმა-გრაფიკის მიხედვით შესასრულებელი სამუშაოების გეგმიური მაჩვენებელი 2 035 325 ლარით განისაზღვრა, ხოლო საკასო შესრულებამ - 1 561 620 ლარი; 2023 წლის 12 ივლისის # 320704-05 და 2023 წლის 27 დეკემბრის #320704-10 ხელშეკრულებებით აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე „სასურსათო პროდუქტების გადამუშავების“ და „მეღვინეობის“ სასწავლო-საწარმოო ლაბორატორიის მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრებიდან (2 171 338 ლარი), 2024 წლის დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებელი 1 419 455 ლარით განისაზღვრა, ხოლო შესრულებამ შეადგინა 1 269 949 ლარი. 2023 წლის 18 სექტემბრის # 320702-17 ხელშეკრულებით დიდ ჯიხაიშში მდებარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესიული კოლეჯის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელების მიზნით, საპროექტო მომსახურებისათვის გამოყოფილი იქნა 119 700 ლარი, შესრულებამ შეადგინა 100 %. ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის გაზიფიცირება, ღირებულებით 3 880 ლარი. სულ, შესრულების მაჩვენებელი 82,7%-ს შეადგენს, რაც განაპირობა სამუშაოების განხორციელების დროს პროექტით გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოშობის გამო, სამუშაოების გადავადებამ რამოდენიმე თვით, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამა მდგრადია, რადგან გააჩნია ფინანსური უზრუნველყოფა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-დან.

7.2 ქვეპროგრამა „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება“ მოიცავს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსში გამარჯვებული ინსტიტუტებისათვის გამოყოფილ თანხებს, უნივერსიტეტის ქსელური ინფრასტრუქტურის გაფართოებას და სხვადასხვა კომპიუტერული აღჭურვილობის შეძენას, რისთვისაც გათვალისწინებული გეგმიური მაჩვენებელი 1 734 935 ლარით განისაზღვრა, შესრულებამ შეადგინა 1 705 853 ლარი, რაც გეგმის შესრულების 98,3 %-ია.

ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 13 ივნისის N 94 ბრძანებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსში გამარჯვებული ინსტიტუტებისათვის გამოყოფილი თანხა 565 265 ლარით განისაზღვრა, შესრულებამ შეადგინა 549 562 ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 97,2 %-ით.

საანგარიშო პერიოდში გაძლიერდა სერვერული ინფრასტრუქტურა და ინტერნეტის მაგისტრალური არხები. ქსელში დამატებით ჩაერთო 350-ამდე ახალი ქსელური კვანძი. უნივერსიტეტის მთელს პერიმეტრზე დამატებით დამონტაჟდა 40-ამდე Wi-FI-ის მოდემი, მთლიანი დაფარვის ზონა გაიზარდა 15 %-ით. სხვადასხვა კორპუსში დამატებით დამონტაჟდა 35-მდე IP ტელეფონი.

საანგარიშო პერიოდში IT სამსახურის მიერ შექმნილი და მხარდაჭერილი ვებგვერდების ნუსხა ასეთია:

1.კონფერენცია-„ინოვაციები და თანამედროვე გამოწვევები“ (https://conference.ims.gtu.ge);

2. კონფერენცია - „თანამედროვე გამოწვევები და მიღწევები ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში“ ( https://conference.ims.gtu.ge);

3. რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია (http://rectorconference.ge);

4. კონფერენცია-„ბუნებრივი რესურსები და კურორტები, როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორები“ (https://nrr.gtu.ge);

5. კონფერენცია - „ფიქრები მომავალზე“ (https://fiqrebimomavalze.gtu.ge) ;

6. სასწავლო ცხრილების პლათფორმა (https://tableics.gtu.ge; https://spectrovirs.gtu.ge).

უნივერსიტეტის მასშტაბით განხორციელდა კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, ჩატარდა კომპიუტერული ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებული სამუშაოები, როგორც ფაკულტეტზე, ასევე, ადმინისტრაციულ კორპუსში; დანერგილია ინციდენტებზე და სერვისებზე მონიტორინგის სისტემა (its.gtu.ge).

საანგარიშო პერიოდში, ფონდის გრანტის თანხების გათვალისწინებით, შეძენილ იქნა 578 253 ლარის ღირებულების კომპიუტერი, 103 867 ლარის პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები, 635 126 ლარის სხვადასხვა დასახელების მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები.

როგორც აღვნიშნეთ, პროგრამების გეგმის შესრულების საშუალო მაჩვენებელი 96,1 %-ია. ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მთლიანი გადასახდელების მიმართ მოდის პროგრამაზე „უმაღლესი განათლება“ და 47,5%-ს შეადგენს:




განვიხილოთ 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით საკუთარი სახსრების ჭრილში. გადასახდელების გეგმა „სუბსიდიებისა“ (3 065 750 ლარი) და ორდიპლომიანი პროგრამის დაფინანსებისათვის „სხვა ხარჯების“ (23 625 ლარი) სახით გამოყოფილი თანხების გათვალისწინებით 63 454 126 ლარით განისაზღვრა, შესრულებამ შეადგინა 60 981 178 ლარი, რაც გეგმის შესრულების 96,1 %-ია, კერძოდ:

| N | დასახელება | 2024 წლის გეგმა | საკასო შესრულება | შესრულების % |
|---|---|---|---|---|
| **სულ ასიგნება** | | **63 454 126** | **60 981 178** | **96,1** |
| 2 | **ხარჯები** | **56 402 965** | **55 132 911** | **97,7** |
| **2.1.** | **შრომის ანაზღაურება** | **25 095 745** | **25 084 359** | **100,0** |
| **2.2.** | **საქონელი და მომსახურება** | **22 908 158** | **21 728 071** | **94,8** |
| 2.2.1. | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 15 693 380 | 15 227 497 | 97,0 |
| 2.2.2. | მივლინება | 503 000 | 502 587 | **99,9** |
| 2.2.3. | ოფისის ხარჯები | 4 779 861 | 4 120 694 | 86,2 |
| 2.2.3.1 | კომუნალური ხარჯები | 2 361 592 | 2 344 598 | 99,3 |
| 2.2.3.2 | შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი | 958 145 | 958 143 | 100,0 |
| 2.2.3.3 | სხვა დანარჩენი ოფისის ხარჯები(მ.შ „მცირეფასიანი საოფისე ინვენტარი და ტექნიკა"; „ოფისისათვის საჭირო საგნები და მასალები) | 1 460 124 | 817 953 | 56,0 |
| 2.2.4. | წარმომადგენლობითი ხარჯები | 541 421 | 535 019 | **98,8** |
| 2.2.6. | სამედიცინო ხარჯები | 12 975 | 9 985 | **77,0** |
| 2.2.7. | რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | 122 251 | 79 571 | **65,1** |
| 2.2.8. | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 149 270 | 146 880 | **98,4** |
| 2.2.10. | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 1 106 000 | 1 105 838 | **100,0** |
| **2.5.** | **სუბსიდია** | **3 065 750** | **3 056 870** | **99,7** |
| **2.6.** | **გრანტები** | **18 651** | **18 651** | **100,0** |
| **2.7.** | **სოციალური უზრუნველყოფა** | **83 648** | **83 637** | **100,0** |
| **2.8.** | **სხვა ხარჯები** | **5 251 548** | **5 161 323** | **98,3** |
| 2.8.1. | ემერიტუსის ანაზღაურება | 989 436 | 964 365 | **97,5** |
| 2.8.2. | ავსტრიის ბანკის მარჟა | 225 098 | 208 490 | **92,6** |
| 2.8.3. | საგრანტო დაფინანსება | 1 780 000 | 1 747 302 | **98,2** |
| 2.8.4. | პერსონალის დაზღვევის ხარჯები | 1 248 770 | 1 248 770 | **100,0** |
| 2.8.5. | საგადასახადო ვალდებულებები და მოსაკრებლები | 687 508 | 687 504 | **100,0** |
| 2.8.6. | სხვა სახელობის სტიპენდიები და სახელმწიფო სასწავლო სტიპენდიები; სტუდენტური ჯილდოები | 59 250 | 59 250 | **100,0** |
| 2.8.7. | სხვა დანარჩენი ხარჯები(ტრანსპორტის დაზღვევა; ცერნი; რენე) | 261 486 | 245 642 | **93,9** |
| **31** | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | 7 030 626 | **5 848 267** | **83,2** |
| 31.1. | მ.შ. შენობა-ნაგებობები | 3 574 480 | 3 104 812 | 86,9 |
| **31.1.2.** | მ.შ.მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 3 258 128 | 2 550 445 | 78,3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **31.1.3.** | მ.შ.ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები(კომპიუტერული პროგრამები, მონაცემტა ბაზები | 20 265 | 20 261 | 100,0 |
| 31.4. | მ.შ. არაწარმოებული აქტივები | 177 753 | 172 749 | 97,2 |

აღნიშნული მაჩვენებლები მიუთითებს იმაზე, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში, სრულად და დროულად იქნა შესრულებული ვალდებულებები თანამშრომელთა შრომის და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების ნაწილში. შეუფერხებლად მოხდა კომუნალური და საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, თანამშრომელთა სადაზღვევო პრემიის დაფინანსება, საგნობრივი აკრედიტაციის საბჭოს დასკვნის შესაბმისად, მატერიალურ-ტენიკური ბაზის გაუმჯობესება, ყველა სასწავლო პროგრამის აკრედიტაციის, რეაკრედიტაციის, ანგარიში/მონიტორინგის საფასურის სრულად დაფინანსება. შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებული გადასახდელები სარემონტო სამუშაოების გადავადების გამო, რაც პროექტის ფარგლებში გაუთვალისწინებელი, ახალი გარემოებების წარმოშობამ განაპირობა.

უნივერსიტეტის მიერ 2024 წლის განმავლობაში გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების 541 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 8 703 042 ლარი, 1 700 ა.შ.შ. დოლარი და 45 450 ევრო, კერძოდ:

1. ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმდა 120 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 6 661 722 ლარი. ელექტრონული ტენდერების ჩატარების შედეგად მიღებული ეკონომიის ჯამმა შეადგინა 360 994 ლარი;

2. გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების შედეგად გაფორმდა 396 ხელშეკრულება, საერთო თანხით 1 319 049 ლარი, 1 700 ა.შ.შ. დოლარი და 45 450 ევრო;

3. კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გაფორმდა 25 ხელშეკრულება, საერთო თანხით 722 271 ლარი.

უნივერსიტეტი არის სახელმწიფო გადასახადების მსხვილი გადამხდელი. საანგარიშო წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია 11 046 351 ლარი, საიდანაც საშემოსავლო გადასახადის სახით გადახდილია 10 396 711 ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადის სახით-331 721 ლარი და ქონების გადასახადის სახით-317 919 ლარი.

საანგარიშო პერიოდში, 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლების ზრდამ, როგორც აღვნიშნეთ, 25 656 755 ლარი შეადგინა, რაზეც გამოცემულ იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს 6 დადგენილება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 4 განკარგულება, სადაც ასახულ იქნა, როგორც საბიუჯეტო მაჩვენებლების, ასევე პროგრამებსა და ეკონომიკური კლასიფიკაციის

მუხლებს შორის ცვლილებები. განკარგულებებით ასახული საბიუჯეტო ცვლილებების მაჩვენებლებმა წლის განმავლობაში შეადგინა 9 949 945 ლარი, მათ შორის საბიუჯეტო სახსრები 9 418 932 ლარია, ხოლო საკუთარი სახსრები - 531 013 ლარი. პროგრამებს შორის ცვლილებამ შეადგინა 94 208 ლარი, ხოლო ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებამ - 551 787 ლარი. განკარგულებებით ასახული ცვლილებები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის სენატის მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კომპეტენციის ფარგლებში განსახორციელებელ ცვლილებათა დადგენილ ქვოტას.